

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №17

2020 წლის 14 მაისი

ქ. თბილისი

**„ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში და გამანაწილებელ ქსელში ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 24 მაისის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 29ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და 168-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ დაადგინა:

**მუხლი 1**

„ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების სისტემაში და გამანაწილებელ ქსელში ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2017 წლის 24 მაისის №8 დადგენილების (სსმ, ვებგვერდი, 01/62017, სარეგისტრაციო კოდი: 300380000.16.009.016209) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) შპს „ყამარი მ“:

- ა) 2020 წლის 1 ივლისიდან 2021 წლის 1 იანვრამდე პერიოდში 6.90%;
- ბ) 2021 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 იანვრამდე პერიოდში 4.79%;
- გ) 2022 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 1 იანვრამდე პერიოდში 3.08%;
- დ) 2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 იანვრამდე პერიოდში 2.24%;
- ე) 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე პერიოდში 2.00%.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკისა და  
წყალმომარაგების მარეგულირებელი  
ეროვნული კომისიის თავმჯდომარე  
კომისიის წევრი  
კომისიის წევრი

დავით ნარმანია

გიორგი ფანგანი

გიორგი ფრუიძე

